პროფესიული პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ქუთაისი - 2017

წინასიტყვაობა

აწსუ წარმოადგენს ყველაზე დიდ რეგიონულ უნივერსიტეტს, რომელიც ისწრაფვის განავითაროს პროფესიული სწავლების სეგმენტი და ქვეყნის მდგრადი განვითარებაზე ფოკუსირებით შეარჩიოს და დანერგოს პროფესიული სასწავლო პროგრამები.

პროფესიული პროგრამების წარმატებული განხორციელება უკავშირდება ხარისხის მართვისა და შიდა შეფასების საკითხებს, რაც საშუალებას მოგვცემს გაუმჯობესდეს სწავლა-სწავლების ხარისხი და პროდუქტად მივიღოთ მაღალპროფესიული სპეციალისტი.

სხვადასხვა მიმართულების მოდულური პროფესიული სტანდარტები წარმოადგენენ მზა პროგრამებს, რომელთა განხორციელებაზე სასწავლებელი გადაწყვეტილებას იოლად იღებს. ხოლო შემდგომში პროფესიული პროგრამების განხორციელების მენეჯმენტი გართულებულია ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის მოქმნილი მექანიზმების არქონის გამო. უმრავლეს შემთხვევაში აღნიშნული უარყოფითად აისახება პროფესიული პროგრამების საბოლოო პროდუქტზე - კურსდამთავრებულთა ხარისხიან განათლებაზე.

„პროფესიული პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო“ შემუშავებულია პროფესიული განათლების ხარისხის მართვისა და მონიტორინგის ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, აწსუ-ს პარტნიორი სასწავლებლების - გვენტის კოლეჯის და ტარტუს უნივერსიტეტისა მიდგომების გაანალიზებისა და საქართველოს პროფესიული განათლების სივრცეში ადაპტირების გათვალისწინებით.

ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული რესურსი მნიშვნელოვანად გაზრდის პროფესიული პროგრამების პროვაიდერი სასწავლებლების მზაობას - გააუმჯობესონ სწავლების ხარისხი შიდა შეფასებისა და ხარისხის მართვის მუდმივი განვითარებისა და სისტემატური მონიტორინგის გზით.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ 3
2. მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავება და დანერგვა აწსუ-ში 5
3. პროფესიული პროგრამების ხარისხის მართვა
   3.1. სწავლა/სწავლებისა და შეფასების პოლიტიკა 6
   3.2. ფაკულტეტის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი 8
   3.3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრების ფუნქციები 9
   3.4. სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვა 11
   3.5. პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის წარმოება 12
   3.6. პროფესიული პროგრამის სტუდენტის/პედაგოგის გამოკითხვა და შედეგების ანალიზი 13
   3.7. პროფესიული პროგრამის მეცადინეობებზე დასწრებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების პროცესი 14

დანართი № 1. სწავლის შედეგების შეფასების უწყისი 15
დანართი № 2. კითხვარი სტუდენტისათვის 16
დანართი № 3. კითხვარი მასწავლებლისათვის 18
დანართი № 4. მოდულური პროგრამის შიდა მონიტორინგის ჯგუფის სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების ოქმი 20
დანართი № 5. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარი 21

1. ზოგადი ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ

პროფესიული განათლება არის სახელობო განათლება, რომელიც ადამიანს ვაჭრობის, ხელოსნობისა თუ ტექნიკური ტიპის, ასევე სხვადასხვა სფეროში (ინჟინერია, მედიცინა, არქიტექტურა, იურისპრუდენცია და ა.შ.) დამხმარე სამუშაოების შესასრულებლად ამზადებს.

პროფესიული განათლების მიზნები

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების ორიენტაციის, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობისა და მობილურობის ამაღლების საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიზანია:

- შექმნას ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
- ხელი შეუწყოს ინდივიდის პროფესიულ განვითარებას;
- მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები;
- ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა თუ თვითდასაქმებას;
- პროფესიული განათლების სფეროში შექმნას სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემა, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობას.

პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.

პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულია ის პროფესიული ცოდნა, უნარ- ჩვევები და კომპეტენციები, რომლებსაც უნდა ფლობდეს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, რომელსაც პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით, პროფესიული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობენ პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დაინტერესებული პირები, სტანდარტების პროექტები განიხილება დარგობრივი კომიტეტებისა და თემატური ჯგუფების სხდომებზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციით ფუნქციონირებს 14 დარგობრივი კომიტეტი: 1. სამთო და გეოინჟინერია; 2. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მეტალურგია და მასალათმცოდნეობა; 3. ხელოვნების მიმართულება; 4. ბიზნესის ადმინისტრირება; 5. ტურიზმი; 6. ჯანდაცვა; 7. საზღვაო,

სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო ტრანსპორტი; 8. ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია; 9. აგრარული მეცნიერებები; 10. მასობრივი კომუნიკაცია / ჟურნალისტიკა; 11. მშენებლობა და გარემოს ინჟინერია; 12. კომპიუტინგი/ინფორმატიკა და ტელეკომუნიკაცია; 13. არქიტექტურა; 14. მეცნიერება/ზუსტი მეცნიერება.

პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზა წარმოადგენს ელექტრონულ პროგრამას, რომელიც შედგენილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს 11 მიმართულების შესაბამისად: 1. აგრარული მეცნიერებანი; 2. ბიზნესის ადმინისტრირება; 3. განათლება; 4. ინჟინერია; 5. მეცნიერებანი/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 6. სამართალი; 7. სოციალური მეცნიერებები; 8. ხელოვნება; 9. ჯანდაცვა; 10. ჰუმანიტარული მეცნიერებანი; 11. მიმართულებათაშორისი.

პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული კვალიფიკაცია ასახავს პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონეს, რომელიც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით.

პროფესიულ კვალიფიკაციათა აღწერით განისაზღვრა პროფესიული განათლების ცალკეული საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგები ექვსი კრიტერიუმის მიხედვით: ა) ცოდნა და გაცნობიერება, ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, გ) დასკვნის უნარი, დ) კომუნიკაციის უნარი, ე) სწავლის უნარი, ვ) ღირებულებები.

კვალიფიკაციის ყოველი შემდგომი საფეხური მოიცავს წინა საფეხურის სწავლის შედეგებს და გამოიხატება უფრო მაღალი პროფესიული ცოდნით, გაზრდილი უნარებითა და ღირებულებებით.

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო – ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების შესაბამისი ყველა კვალიფიკაცია;

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით იქმნება პროფესიული სტანდარტები. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და პროფესიულ სტანდარტებზე დაყრდნობით იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

2. მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავება და დანერგვა აწსუ-ში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი რეგიონული უნივერსიტეტია საქართველოში, რომელიც გამოირჩევა პროგრამების მრავალფეროვნებით.

მოდულური და საგნობრივი პროფესიული პროგრამების განხორციელება აწსუ-ს ამჟამინდელი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ხოლო ამ პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი ამოცანა.

2015 წლისათვის აწსუ ახორციელებდა 56 მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას, მათგან აგრარული ფაკულტეტის - 10, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის - 22, საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის - 19, საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის - 2, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის - 1 პროგრამა.

საქართველოს „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის“ შესაბამისად, 2013 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამას“, რომლის მიზანია გათვალისწინებული პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელება, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა, ეკონომიკური განვითარებისა და პიროვნული კარიერული ზრდის ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აწსუ ისწრაფვის დანერგოს მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ხელი შეუწყოს ეკონომიკური განვითარებასა და პიროვნულ კარიერულ ზრდას შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აწსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად ჩაერთო მოდულური პროფესიული პროგრამების ახალი სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების შექმნის პროცესში.

2016 წელს აწსუ-მ დაიწყო 11 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. აღნიშნული პროგრამების განხორციელების ეტაპზე გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი მექანიზმების შემუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების საჭიროება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში აწსუ-ში შემუშავდა 11 მოდულური პროგრამა:

1. საბაჟო საქმის სპეციალისტი;
2. სასტუმრო საქმის სპეციალისტი;
3. სარეკლამო აგენტი;
4. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი;
5. ბიბლიოთეკარი;
6. სისტემების ადმინისტრატორი;
7. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
8. ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი;
9. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი;
10. ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი;
11. სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი.

პროფესიული პროგრამების ხარისხის მართვა

სწავლა/სწავლებისა და შეფასების პოლიტიკა

სწავლა/სწავლებისა და შეფასების პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

საუკეთესო სწავლების პრინციპები	
1.არსებული სასწავლო გარემო არის უსაფრთხო და კარგად მართული და ამ გარემოში ყველა სტუდენტი გახლავთ უნიკალური და ღირებული.	სტუდენტი პროგრესირებს და წარმატებას აღწევს როდესაც მისი სასწავლო გარემო არის შთამაგონებელი და ხელშემწყობი სასწავლო პროცესისათვის. დიდი მოლოდინები ურთიერთობებისა და ქცევების შესახებ, მკაცრად განსაზღვრულ ძირითად წესებთან და პროცედურებთან ერთად ქმნის გარემოს, რომელსაც ახასიათებს სტუდენტისთვის ხელსაყრელი პირობები.
2. გაკვეთილები იწყება აშკარა მიზანით, რომელიც დაკავშირებულია ძირითად სასწავლო მიზანთან.	იმ შემთხვევაში თუ ლექტორები და სტუდენტები არ არიან გარკვეულნი გაკვეთილის მიზანში უკვე რთულდება მიღწეული პროგრესის შეფასება. ნებისმიერი სტუდენტის მღელვარების მიზეზს პირველ რიგში წარმოადგენს ინფორმაციის არ ქონა იმის შესახებ, რაც უნდა გააკეთოს.
3. ლექტორი ცდილობს განავითაროს სტუდენტის სამეტყველო უნარები ისე, რომ სტუდენტი კომფორტულად გრძნობდეს თავს მეტყველების პროცესში და ანვითარებდეს საკუთარ ცოდნას.	ნებისმიერ სტუდენტს მიუხედავად ცოდნის დონისა უნდა შეეძლოს სამეტყველო ენის მარტივად გამოყენება. ლექტორმა უნდა შეძლოს საგნის სპეციფიკური ლექსიკის შემუშავება და ხელი შეუწყოს სტუდენტთა ვერბალური და წერილობითი უნარების განვითარებას.
4. ლექტორმა უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის მზადყოფნასა და შესაძლებლობას პროექტში აქტიურად ჩაბმისთვის.	სრული ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში-მოიცავს კითხვებს, რომლებიც აუცილებელია მიღწეული პროგრესის შესამოწმელბლად და სტუდენტთა ჩართულობისა და მოტივაციის შესანარჩუნებლად.
5. თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეული პროგრესი უნდა აღინიშნებოდეს მუდმივად.	მუდმივად უნდა ხდებოდეს შემოწმება არის თუ არა მიღწეული მთავარი მიზანი და არის თუ არა გამოწვევაში ჩართული ყველა სტუდენტი თანაბრად. სტუდენტის პროგრესირების აღნიშვნა უნდა იყოს პროგრამის განუყოფელი ნაწილი. ინდივიდუალური სწავლების გეგმას შეუძლია მსგავსი პროგრესის მიღწევა.
საუკეთესო სწავლის პრინციპები	
1. ლექტორი უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტმა გაგიგოს ახალი მასალა აქტივობის დაწყებისა და დავალებების შესრულებამდე.	ახსნილი მასალის არასრულყოფილად გაგების შემთხვევაში უამრავ სტუდენტს ექმნება პრობლემა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევაში ლექტორის მიერ დასმული შეკითხვა „გაიგეე?“ არ მუშაობს. გულახდილი პასუხი, რომ საკითხი ვერ გაიგო - არ არის სტუდენტის არჩევანი.
2. სწავლა/სწავლების სტრატეგიები მრავალფეროვანია და მოიცავს მრავალსენსორულ მიდგომებს, რომლებიც აქტიურად რთავენ სტუდენტს მოქმედების პროცესში, იმ სიხშირით როგორადაც შესაძლებელია.	ხელმისაწვდომობის შექმნა მნიშვნელოვანია ყველა სტუდენტისთვის და იგი მოიცავს სტიმულირების გამოყენებას ვიზუალიზაციის, მოსმენის, მეტყველების, კითხვის, წერის და ინფორმაციის გადამუშავებისთვის.

3. დატვირთვა/მიცემული დავალება ანვითარებს უკეთეს აზროვნებასა და აღქმას და ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლებას	დაბალი დონის ტესტები და მოკლე პასუხები ზოგჯერ შესაძლებელია შესაფერისად მივიჩნიოთ ცოდნის შეფასებისთვის, თუმცა რეალური შეფასების გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სტუდენტს მოეთხოვება პრაქტიკული ქმედება, ინფორმაციის დამუშავება და მისი გამოყენება შესაბამის კონტექსტში.
4. დიფერენცირება განსაზღვრულია, ყველა სტუდენტი პროგრესირებს თითოეულ ლექციაზე და წარმოადგენს თავის სრულ პოტენციალს.	პროგრესი გულისხმობს თითოეული სტუდენტის ცოდნის გაუმჯობესებას თითოეული ლექციის შემდეგ. დიდი ჯგუფების შემთხვევაში იგულისხმება ამოცანებისა და ატივობების წარმოდგენა პროგრესირებისათვის.
საუკეთესო შეფასების პრინციპები	
1. შეფასების მთავარი მიზანია სწავლისა და პროგრესირების ხელშეწყობა.	პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკულად შესრულებული სამუშაო არის ერთადერთი ყველაზე ეფექტური გზა პროგრესირებისთვის. ლექტორი, სტუდენტი და სხვა პარტნიორები აბსოლუტურად გარკვეულნი უნდა იყვენენ იმ განსხვავებაში, რომელიც არსებობს ზოგადად შეფასებასა და სწავლის შეფასებას შორის. ისინი გარკვეულნი უნდა იყვნენ თუ რა როლი აკისრიათ მათ პროგრესირების მიღწევაში.
2. ყველა - ლექტორები და სტუდენტები უნდა იცნობდნენ კრიტერიუმებს, რომლებიც გამოიყენება სტუდენტის ნამუშევარის შესაფასებლად	რეალური პროგრესი მიიღწევა თუ სტუდენტს გააზრებული აქვს რა უნდა გააკეთოს პროგრესირებისთვის. უნდა მოხდეს კრიტერიუმების გაზიარება და გააზრება. კრიტერიუმების უკეთ გაგებას შეიძლება ხელი შეუწყოს მოდელირებამ.
3. შეფასებისთვის გამოიყენება უამრავი სტრატეგია და სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვათა შეფასების საქმეში.	შეფასების სხვადასხვა მეთოდის საშუალებით სტუდენტი უკეთესად აღიქვამს შეფასების კრიტერიუმებს. სტუდენტის თვალით საგამოცდო სიტუაციისაა და ლექტორის შეფასებების სათანადო გაგება არის საუკეთესო გზა სტუდენტური შედეგების გაუმჯობესებისთვის.
4. შენიშვნებისა და შეფასებების გათვალისწინებით მოქმედება	მხოლოდ შენიშვნებსა და შეფასებებზე დაყრდნობით განხორციელებულ ქმედებეს შეუძლიათ სტუდენტის პროგრესირება.

სწავლა/სწავლებისა და შეფასების პოლიტიკა შემუშავებულია
გვენტის კოლეჯის მიდგომების გათვალისწინებით

ფაკულტეტის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტზე) იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ჯგუფის თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
4. პროგრამის ხელმძღვანელები;
5. განმახორციელებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
6. პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგები;
7. დამხმარე ტექნიკური პერსონალი;
8. აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

შიდა მხარდაჭერის ჯგუფში შემავალ თითოეულ წევრს განესაზღვრება მხარდაჭერის ჯგუფის წევრების ფუნქციები. ქვემოთ მოყვანილია ფუნქციების გადანაწილების ერთ-ერთი ნიმუში.

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრების ფუნქციები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

- ✓ ახდენს მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას;
- ✓ ახდეს მხარდაჭერის ჯგუფის წევრების საქმიანობის კოორდინირებას;
- ✓ მონაწილეობს მხარდაჭერის დაგეგმვისა და განხორციელების სქემის შედგენაში;
- ✓ ახორციელებს გრაფიკით გაწერილ მონიტორინგს ლექცია პრაქტიკულებზე (მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმა, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მტკიცებუ-ლებების შერჩევა, შეფასების განხორციელება);
- ✓ ახდენს პროფესიული სტუდენტების/მას-წავლებლების გამოკითხვის კოორდინირებას.

ადმინისტრაციის წარმომადგენელი ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

- ✓ ახდენს მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას;
- ✓ ახდეს მხარდაჭერის ჯგუფის წევრების საქმიანობის კოორდინირებას;
- ✓ მონაწილეობს მხარდაჭერის დაგეგმვისა და განხორციელების სქემის შედგენაში;
- ✓ ახორციელებს გრაფიკით გაწერილ მონიტორინგს ლექცია პრაქტიკულებზე (მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმა, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მტკიცებულებების შერჩევა, შეფასების განხორციელება);

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

- ✓ ხელმძღვანელობს და თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრებთან;
- ✓ შეთანხმების საფუძველზე ანაწილებს მხარდაჭერის ჯგუფის წევრების ფუნქციებს;
- ✓ მონაწილეობას ღებულობს შიდა მხარდაჭერის შეფასებების (თვითშეფასების კითხვარები) განხორციელებაში;
- ✓ ანგარიშვალდებულია აწსუ-ს მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციის წარმომადგენელთან.
- ✓ იცნობს და თვალყურს ადევნებს მხარდაჭერის ჯგუფის წევრების საქმიანობას;

პროგრამის ხელმძღვანელი

- ✓ თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან;
- ✓ მონაწილეობს მხარდაჭერის დაგეგმვის და განხორციელების გეგმის შედგენაში;
- ✓ ორგანიზებას უწევს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრას;
- ✓ ატარებს პროგრამის პრეზენტაციას;
- ✓ ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად სტუდენტებს აცნობს სწავლების სპეციფიკის თავისებურებებს, სასწავლო სივრცეს და ცხრილს;
- ✓ გამოყოფს კონსულტაციებისათვის დროს;
- ✓ ახორციელებს გრაფიკით გაწერილ მონიტორინგს ლექცია პრაქტიკულებზე (მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმა, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მტკიცებულებების შერჩევა, შეფასების განხორციელება);
- ✓ მონაწილეობას ღებულობს შიდა მხარდაჭერის შეფასებების (თვითშეფასების კითხვარები) განხორციელებაში და ანგარიშგებაში.

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან;
- ✓ ახორციელებს გრაფიკით გაწერილ მონიტორინგს ლექცია პრაქტიკულებზე (მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმა, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მტკიცებულებების შერჩევა, შეფასების განხორციელება);
- ✓ მონაწილეობას ღებულობს შიდა მხარდაჭერის შეფასებების (თვითშეფასების კითხვარები) განხორციელებაში და ანგარიშგებაში.

განმახორციელებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელი

- ✓ ორგანიზებას უწევს სასწავლო აუდიტორიებისა და ლაბორატორიების მზადყოფნის საკითხებს;
- ✓ ხელმძღვანელობს სასწავლო დატვირთვებსა და პედაგოგების მოწვევას, რომელსაც ათანხმებს პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან;
- ✓ პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება-გამართულობაზე;
- ✓ უზრუნველყოფს მოდულით გათვალისწინებული სასწავლო მასალებით და მტკიცებულებების შესაგროვებლად საჭირო ინსტრუმენტებით დროულ მომარაგებას;
- ✓ ხელმძღვანელობს აუდიტორიის სასწავლო მასალებით მომარაგებას და სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების და ნედლეულის შენახვას და გამოყენებას წესის მიხედვით;
- ✓ თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი

- ✓ თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან;
- ✓ ახორციელებს გრაფიკით გაწერილ მონიტორინგს ლექცია პრაქტიკულებზე (მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმა, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მტკიცებულებების შერჩევა, შეფასების განხორციელება);
- ✓ მონაწილეობას ღებულობს შიდა მხარდაჭერის შეფასებების (თვითშეფასების კითხვარები) განხორციელებაში და ანგარიშგებაში;
- ✓ მოდულური პროგრამების დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტზე დაგროვილ გამოცდილებას უზიარებს სხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებს.

პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი (დეპარტამენტის ლაბორანტი)

- ✓ თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან;
- ✓ ორგანიზებას უწევს სასწავლო აუდიტორიის მზადყოფნას;
- ✓ ორგანიზებას უწევს აუდიტორიის სასწავლო მასალებით მომარაგებას და სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების და ნედლეულის შენახვას და გამოყენებას წესის მიხედვით;
- ✓ პასუხისმგებელია აუდიტორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება-გამართულობაზე;
- ✓ ეხმარება მოდულის განმახორციელებლებს მტკიცებულებების შეგროვებასა და სტუდენტთა პორთფოლიოების შექმნაში.

სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვა

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შესაძლებელია არსებობდეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით;
2. პროფესიული სტუდენტების მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია მოდულის დასრულებიდან 5 წელი;
3. მოდულის განმახორციელებელ პედაგოგს/პედაგოგებს ევალება პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შენახვა მოდულის დასრულებამდე;
4. **პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი** მოდულის პედაგოგისაგან, შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 10 დღის ვადაში; გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა;
5. **პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი** მოდულის პედაგოგისაგან, შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა;
6. **პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი სწავლის შედეგების** შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;
7. **პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი** მოდულური პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებებს, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩააბარებს არქივს.

პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის წარმოება

1. პროფესიული სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების უწყისის წარმოების წესი:

- პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების უწყისს აწარმოებს ელექტრონულად;
- სწავლის შედეგის შეფასების და განმეორებითი შეფასების პერიოდში პროფესიულ მასწავლებელს მონაცემები ეტაპობრივად შეაქვს უწყისში;
- მოდულის დასრულებისას პროფესიული პედაგოგი ელექტრონული უწყისის ამობეჭდილ და ხელმოწერილ ვარიანტს აბარებს ფაკულტეტის დეკანატში;
- პროფესიული მასწავლებელი ხელმოწერილი უწყისის pdf-ფორმატს ტვირთავს ელ-პორტალზე.

2. პროფესიული სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების უწყისის დამტკიცებული ფორმა წარმოდგენილია №1 დანართის სახით.



პროფესიული პროგრამის სტუდენტის/პედაგოგის გამოკითხვა და შედეგების ანალიზი

1. პროფესიული სტუდენტის/მასწავლებლის ელექტრონული გამოკითხვები ხორციელდება ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ;
2. პროფესიული სტუდენტის/მასწავლებლის ელექტრონული გამოკითხვების განხორციელებაზე პასუხიმგებელია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი (კოორდინირებას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი).
3. პროფესიული სტუდენტის და მასწავლებლის ელექტრონული გამოკითხვების მონაცემთა დამუშავებას ახორციელებენ მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. აღნიშნული ჯგუფი ორი კვირის ვადაში შედეგებს წარუდგენს მოდულური პროფესიული პროგრამების ადმინისტრაციის წარმომადგენელს.
4. პროფესიული სტუდენტისა და პედაგოგის გამოკითხვის დამტკიცებული ფორმები წარმოდგენილია დანართების №2 და №3 სახით.

პროფესიული პროგრამის მეცადინეობებზე დასწრებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების პროცესი

1. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ასრულებს მეცადინეობებზე დასწრებას და შეფასების ინსტრუმენტების შემოწმებას.
2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი წინასწარ გეგმავს მეცადინეობაზე დასწრებას. თითოეული მოდულის მიმდინარეობის პროცესში განსაზღვრულია სამჯერ დაწრება.
3. თითოეულ მეცადინეობაზე დასწრებას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ორ-ორი წარმომადგენელი. ისინი ავსებენ მეცადინეობაზე დასწრების ოქმს და შეფასების ინსტრუმენტების კითხვარს.
5. მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ასრულებენ მეცადინეობებზე დასწრების ოქმისა და შეფასების ინსტრუმენტების კითხვარების მონაცემთა დამუშავებას, აჯამებენ მიღებულ შედეგებს და სამუშაოს ანგარიშს მეცადინეობაზე ბოლო დასწრებიდან ორი კვირის ვადაში წარუდგენენ მოდულური პროფესიული პროგრამების ადმინისტრაციის წარმომადგენელს.
6. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დამტკიცებული ფორმები წარმოდგენილია დანართი №5 სახით.



დანართი № 1

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის შედეგების შეფასების უწყისი № (მოდულის სარეგისტრაციო ნომერი)

სპეციალობა:
ჯგუფი:
მოდული:
კრედიტების რაოდენობა:
პედაგოგი:
თარიღი:

შეფასების #	შეფასება 1		შეფასება 2		შეფასება 3		შეფასება 4		შეფასება 4		შეფასება 5		განმეორებითი შეფასება			მოდულის დადასტურების შედეგი დაადასტურა/ ვერ დაადასტურა
სწავლის შედეგი/შეფასების კრიტერიუმები	ს.შ.1 /1,2,6 ს.შ.2 /1 ს.შ.3 /1,2		ს.შ.1 /7 ს.შ.2 /4 ს.შ.3 /3,4		ს.შ.1 /3,4, 5 ს.შ.2 /2,3,5		ს.შ.4 /3		ს.შ.4 /1,2		ს.შ.4 /4,5,6		შეფასება 3 ს.შ.1 /3,4, 5 ს.შ.2 /2,3,5			
შეფასების მიმართულება	ზეპირი გამოკითხვა		დაკვირვება		პროდუქტი		პროდუქტი/ შედეგი		ზეპირი გამოკითხვა				პროდუქტი			
შეფასების დადასტურება/ჩატარების თარიღი	დიახ /არა	თარიღი	დიახ /არა	თარიღი	დიახ /არა	თარიღი	დიახ /არა	თარიღი	დიახ /არა	თარიღი	დიახ /არა	თარიღი	დიახ /არა	თარიღი		
1.	არა															დაადასტურა
2.																დაადასტურა
3.																დაადასტურა
4.																
5.																
6.																
7.																
8.																
9.																
10.																
11.																

შემფასებელი:

დანართი № 2

კითხვარი სტუდენტებისათვის

გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში. გამოკითხვა **ანონიმურია** და მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის შეფასებას პრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.
გთხოვთ X-ით აღნიშნოთ თქვენთვის მისაღები პასუხი. საჭიროების შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი/რეკომენდაცია.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
მოდულის დასახელება	
მოდულის მასწავლებელი	

№	კითხვები	დიახ	ნაწილ ობრივ	არა	კომენტარი / რეკომენდაცია
1. წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები					
1.	სასწავლებელმა მომაწოდა ინფორმაცია მოდულური სწავლების შესახებ				
2.	გავეცანი მოდულის სწავლის შედეგებს				
3.	გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს				
4.	გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში				
5.	ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში				
6.	ვიცნობ მთლიანობაში მოდულურ სასწავლო პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას				
2. სასწავლო პროცესი					
7.	მასწავლებელი/მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას				
8.	სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას				
9.	მასწავლებელი სისტემტურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით				
10.	სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს				
11.	მოდულზე გათვალისწიმებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად?				
3. რესურსები და სასწავლო გარემო					
12.	შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას.				
13.	სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) ჩემთვის ხელმისაწვდომია				

14.	სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით				
15.	სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი				
16.	**გაგაჩნიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? (შემოხაზეთ „დიახ“ ან „არა“)**				დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ:
კომენტარი:					

გთხოვთ გახაზოთ ქვემოთ მოცემულ პასუხებიდან ერთ-ერთი:
ა) ყველა მეცადინეობას დავესწარი; ბ) მაქვს უმნიშვნელო გაცდენები; გ) თითქმის ნახევარს ვაცდენ; დ) უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებ დასწრებას.

კითხვარის შევსების თარიღი: _____

დანართი № 3

კითხვარი მასწავლებლისათვის

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
დასანერგიპროგრამის დასახელება	
მოდულის დასახელება	
კრედიტების რაოდენობა	
მასწავლებლის სახელი და გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია	

გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში. გამოკითხვა მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის მონიტორინგის და მხარდაჭერისფარგლებში პრობლემების იდენტიფიცირებას სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

N	კითხვები	დიახ	ნაწილობრივ	არა	შენიშვნები/ რეკომენდაციები
1.	იცნობთ თუ არა სრულად აღნიშნულ მოდულურ პროგრამას?				
2.	გაქვთ თუ არა თქვენი მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება?				
3.	პირადად მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში?				
4.	პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენ-დარული გეგმის შემუშავების პროცესში?				
5.	მოახდინეთ თუ არა სასწავლო გეგმის ადაპტირება სსსმ სტუდენტების საჭიროებებისთვის?				
6.	მისაღებია თუ არა მოდულის სტრუქტურა?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები მოდულის სტრუქტურასთან დაკავშირებით:*
7.	გასაგებია თუ არა მოდულის შინაარსი?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, დააკონკრეტეთ, წარმოადგილეთ თქვენი რეკომენდაციები*
8.	საჭიროებს თუ არა მოდულის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?				*„ნაწილობრივ“ ან „დიახ“ პასუხის შემთვევაში, დაფიქსირეთ მოდულის რომელი ნაწილი საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?*
9.	თქვენის აზრით, სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები?				*თქვენი რეკომენდაციები მოდულის გავლის წინაპირობებთან დაკავშირებით.*
10.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*

11.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
12.	შეესაბამება თუ არა რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
13.	რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
14.	რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
15.	რამდენად შეესაბამება რეკომენდებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმებს?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
16.	ადეკვატურია თუ არა მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
17.	ადეკვატურია თუ არა საათების გადანა-წილება სწავლის შედეგებისა და დატვირ-თვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
18.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
19.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საგანმანათ-ლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები)				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, დააკონკრეტეთ რა სახელმძღვანელო გესაჭიროებათ*
20.	მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრეინინგს/ კონსულტირებას?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, დააკონკრეტეთ, რომელ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროებთ დამატებით ტრენინგსა და კონსულტირებას?*
შემოგვთავაზეთ სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამის დამატებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.					
საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინეთ დამატებითი კომენტარი, წინადადებები:					

კითხვარის შევსების თარიღი:_____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

დანართი № 4

მოდულური პროგრამის შიდა მონიტორინგის ჯგუფის
სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების

ოქმი

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
შიგა მონიტორინგის ჯგუფის წევრები	1. 2.
დასწრების თარიღი	

მოდულური პროგრამის დასახელება	
მოდულის ხანგრძლივობა(დაწყება, დამთავრება)	
მეცადინეობის ფორმა (თეორიული, პრაქტიკული)	
მასწავლებლის სახელი გვარი	

№	**მეცადინეობებზე დასწრების კრიტერიუმები**	**დიახ**	**არა**	**შენიშვნა**
1	განსახილველი თემის შესაბამისობა კალენდარული გეგმის თემატიკასთან			
2	მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების შესაბამისობა კალენდარულ გეგმასთან			
3	გამოყენებული სასწავლო რესურსების შესაბამისობა კალენდარულ გეგმასთან			
4	მეცადინეობა მიმდინარეობდა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით			
5	მეცადინეობის პროცესში განხორციელდა უკუკავშირი			
6	დაცულია დროის მენეჯმენტი			

რეკომენდაციები:

მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

1.
2.

დანართი № 5

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარი

ზოგადი ინფორმაცია

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
შეფასების ინსტრუმენტის შემმოწმებლები - შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრი/წევრები (სახელი და გვარი)	
შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების თარიღი:	

მოდულური პროგრამის დასახელება	
მოდულის დასახელებადასარეგისტრაციო ნომერი:	
მოდულის დაწყებისა და დასრულების თარიღი	
შეფასების ინსტრუმენტის დასახელება	მაგ. ტესტი/ პრაქტიკული დავალება/როლური თამაში ან სხვა.
მასწავლებლის სახელი და გვარი	ჩაწერეთ იმ მასწავლებლის სახელი და გვარი, რომელმაც განახორციელა შეფასება

	შეფასების ინსტრუმენტის წინასწარი შემოწმების კრიტერიუმები	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი /შენიშვნები
1.	შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ზოგადი ხასიათის ინფორმაციას (საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: პროგრამის დასახელება:მოდულის დასახელება)				
2.	შეფასების ინსტრუმენტში შესაფასებელი სწავლის შედეგები/შესრულების კრიტერიუმები				
3.	შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისობაშია მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან				
4.	შეფასება ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს				
5.	წარმოდგენილია სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა				
6.	სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა მარტივი და გასაგებია				
7.	აღწერილია „დამატებითი პირობები“ *(მაგალითად,როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა სტუდენტებს თანამშრომლობა და სხვა)*				
8.	განსაზღვრულია დავალების დადასტურების პირობები (თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად)				

9.	დავალების დადასტურების პირობები გასაგებად არის აღწერილი				
10.	განსაზღვრულია რა სახის მტკიცებულება იქნება წარმოდგენილი სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის დასადასტურებლად				
11.	შერჩეული მტკიცებულება ვალიდურია (მიზნის შესაბამისი)				
12.	შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისია შეფასების განსახორციელებლად				
13.	შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია ავტორი/ავტორები				
14.	შეფასების ინსტრუმენტიში მითითებულია ვერიფიკატორი (ინსტრუმენტის შემმოწმებელი):				
15.	გაწერილია განმეორებითი შეფასებისპროცედურები				
რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტის გასაუმჯობესებლად:					
საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტის გასაუმჯობესებლად					

შეფასების ინსტრუმენტის შემმოწმებლის ხელმოწერა:

_____

სახელმძღვანელო მომზადებულია ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN) დაფინანსებული პროექტის „პროფესიული განათლების ხარისხის მართვის სახელმძვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე“ ფარგლებში.

სამუშაო ჯგუფი: ირმა გრძელიძე, ციცინო თურქაძე, ნინო ალავიძე